ცხადდება კონკურსი თსუ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებისთვის ერაზმუს+ პროგრამისა და **DAAD**-ს **Go East** პროგრამის ფარგლებში სტიპენდიების მოსაპოვებლად

!!! ფიზიკური მობილობის განხორციელება დამოკიდებული იქნება ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე საქართველოსა და ევროპაში, ასევე მიმღებ ქვეყანაში შესვლასთან და დარჩენასთან დაკავშირებულ რეგულაციაზე

<u>სტიპენდიების ჩამონათვალი ქვეყნების, უნივერსიტეტებისა და მიმართულებების მიხედვით</u>:

<u>მობილობის ტიპი: სწავლება (Staff Mobility for Teaching)</u>

გერმანია (**მობილობის სამუშაო ენა:** გერმანული ან ინგლისური)

- **აახენის რაინ-ვესტფალიის ტექნიკური უნივერსიტეტი**
  მიმართულება: მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, ეკონომიკა
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.rwth-aachen.de/go/id/a/

- **ვესტფალიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი**
  მიმართულება: კომპიუტერული მეცნიერებები
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.en.w-hs.de/

- **ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი:**
  მიმართულება: იურიდიული
  მობილობის ხანგრძლივობა: 6 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.uni-jena.de/en/

- **შტუტგარტის უნივერსიტეტი**
  მიმართულება: განათლების მეცნიერებები, განათლების ფსიქოლოგია
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.uni-stuttgart.de/

- **კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (რაინ-აარ კამპუსი რემაგენში)**
  მიმართულება: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი (საერთაშორისო ბიზნესი)
  დამატებითი მოთხოვნები:
  1. სწავლების გამოცდილება ბიზნესის სიმულაციაში;
  2. სწავლების გამოცდილება გერმანიის უნივერსიტეტში.

  მობილობის ხანგრძლივობა: 2023 წლის 20 ნოემბრიდან 2024 წლის 18 იანვრამდე
  https://www.hs-koblenz.de/rac/index

ესპანეთი (მობილობის სამუშაო ენა: ესპანური ან ინგლისური)

- **მალაგას უნივერსიტეტი**
  მიმართულება: კომპიუტერული მეცნიერებები, ტურიზმი
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.uma.es/

- **გრანადას უნივერსიტეტი**
  მიმართულება: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, იურიდიული, ჰუმანიტარული მეცნიერებები, ეკონომიკა და ბიზნესი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებები
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.ugr.es/

ესტონეთი (მობილობის სამუშაო ენა: ინგლისური)

- **ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი**
  მიმართულება: იურიდიული
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://taltech.ee/en

იტალია (მობილობის სამუშაო ენა: ინგლისური)

- **ბოლონიის უნივერსიტეტი**
  მიმართულება: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.unibo.it/en/homepage

პოლონეთი (მობილობის სამუშაო ენა: პოლონური ან ინგლისური)

- **პოზნანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი**
  მიმართულებები: მენეჯმენტი, კომპიუტერული მეცნიერებები
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.put.poznan.pl/en

- **სოციალური და მედია კულტურის აკადემია ტორუნში**
  მიმართულება: პოლიტიკის მეცნიერებები, ჟურნალისტიკა, ისტორია
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.aksim.edu.pl/

- **რჟეშოვის უნივერსიტეტი**
  მიმართულება: ისტორია, არქეოლოგია, სოციოლოგია, კულტურის კვლევები, პოლიტიკის მეცნიერებები, ბიოლოგია, ფიზიკა, განათლება, ინგლისური ფილოლოგია
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.ur.edu.pl/en/home

- **ზიელონა გორას უნივერსიტეტი**
  მიმართულება: ინგლისური ფილოლოგია
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://uz.zgora.pl/en/

- **მაზოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი პლოკში**
  მიმართულებები: კომპიუტერული მეცნიერებები, ინგლისური ფილოლოგია, ეკონომიკა, ჟურნალისტიკა
  https://mazowiecka.edu.pl/en/

საფრანგეთი (**მობილობის სამუშაო ენა:** ფრანგული ან ინგლისური)

- **რენის უნივერსიტეტი**
  მიმართულება: იურიდიული
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://droit.univ-rennes.fr/en/studying-rennes

- **ლუმიერის უნივერსიტეტი ლიონ 2**
  მიმართულება: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.univ-lyon2.fr/

სლოვაკეთი (**მობილობის სამუშაო ენა:** ინგლისური)

- **ეკონომიკის უნივერსიტეტი ბრატისლავაში**
  მიმართულებები: ბიზნეს ადმინისტრირება, ეკონომიკა
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://euba.sk/en/

უნგრეთი (**მობილობის სამუშაო ენა:** ინგლისური)

- **ეტვოშ ლორანდის უნივერსიტეტი**
  მიმართულება: ისტორია
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.elte.hu/en/

ფინეთი (**მობილობის სამუშაო ენა:** ინგლისური)

- **იავასკულას უნივერსიტეტი**
  მიმართულება: სოციალური მუშაობა
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.jyu.fi/en/frontpage

- **ჰელსინკის უნივერსიტეტი**
  მიმართულება: ეკონომიკა, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები, იურიდიული
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.helsinki.fi/en

ჩეხეთი (**მობილობის სამუშაო ენა:** ინგლისური)

- **ჩეხეთის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი**
  მიმართულება: ბიოლოგია
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  https://www.czu.cz/cs

ხორვატია (მობილობის სამუშაო ენა: ინგლისური)

- **ზაგრების უნივერსიტეტი**
  მიმართულება: სლავური ფილოლოგია (უკრაინული ენა და ლიტერატურა)
  მობილობის ხანგრძლივობა: 5 სამუშაო დღე + არაუმეტეს 2 დღისა მგზავრობისთვის
  http://www.unizg.hr/homepage/

<u>მობილობის ტიპი: ტრენინგი (Staff Mobility for Training)</u>

გერმანია (მობილობის სამუშაო ენა: ინგლისური)

- **ვესტფალიის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გელზენკირხენის კამპუსი)**
  მიმართულება: კომპიუტერული მეცნიერების აკადემიური პერსონალი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობენ ფაკულტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესში
  მობილობის პერიოდი: აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორების დღეები (2023 წლის 23-27 ოქტომბერი)
  სავალდებულო პირობა: პრეზენტაციის ჩატარება
  დაფინასება: დღიური- 89 ევრო, მგზავრობა- არაუმეტეს 675 ევროსი, ჰონორარი - 150/250 ევრო
  https://www.en.w-hs.de/about-us/the-university/four-campuses/the-city-of-gelsenkirchen/

<u>სტიპენდიატთა შესარჩევი პროცესი:</u>

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება (მობილობის სამუშაო ენაზე) კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

<u>სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. CV-ს ევროპული ფორმატი **ინგლისურ** ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv

4. რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე (ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე **mobility.tsu.ge** რეკომენდატორის ველში უნდა შეიყვანოთ თქვენი რეკომენდატორის მონაცემები. რეკომენდატორს მეილზე ეგზავნება ბმული, სადაც ონლაინ ავსებს რეკომენდაციას);
5. შევსებული სამუშაო გეგმა ინგლისურ ენაზე;
   ა) აკადემიური პერსონალის/სწავლების მიზნით მობილობის (Staff Mobility for Teaching) შემთხვევაში: სამუშაო გეგმა უნდა მოიცავდეს 8 სალექციო საათს კვირაში; დოკუმენტი უნდა იყოს <u>დამოწმებული აპლიკანტის დამსაქმებელი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით</u> და ბეჭდით; დანართი 1;
6. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი **(pre-acceptance)** (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის მიერ).

გაცვლითი პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებული აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი უნდა დარეგისტრირდეს გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge **და ატვირთოს სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (pdf ფორმატში) და გამოგზავნოს განაცხადი ელექტრონულად მიმდინარე წლის 12 სექტემბრის 14 საათამდე!**

- გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია.
- რეკომენდატორის მიერ რეკომენდაციის შევსების და გამოგზავნის გარეშე სააპლიკაციო განაცხადის გამოგზავნა არ არის შესაძლებელი. შესაბამისად, მშვნელოვანია რეკომენდატორი ჯეროვნად ინფორმირებული იყოს განაცხადის გამოგზავნის დედლაინის თაობაზე

დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

ა) გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალი mobility.tsu.ge

- გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პორტალი **mobility.tsu.ge** არ არეგისტრირებს განაცხადებას ზემოთ მითითებული ვადის (12 სექტემბრის 14:00სთ) გასვლის შემდეგ;
- პორტალი **mobility.tsu.ge** არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს. სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ **გაგზავნის** ღილაკის დაჭერის შემდეგ. სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ აპლიკანტი მეილზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას.
- გასაუბრებების დრო, თარიღი და ადგილი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პორტალზე [mobility.tsu.ge] მითითებულ მეილზე;

ბ) ფინანსები და Covid-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები

ფიზიკური მობილობის განხორციელება, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს მიმღებ ქვეყანაში შესვლასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წესების და რეგულაციების დაცვასთან, როგორიცაა Covid-19 ვაქცინაციის სრული კურსის (მათ შორის, ერთი ან მეტი ბუსტერ დოზის ჩათვლით) ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა, PCR ტესტირება (ერთ ან მრავალჯერადად), საკარანტინო სივრცეში დარჩენა, სამოგზაურო, ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევის დაზღვევა და სხვა, რაც ფინანსურ ხარჯებთან და დროით რესურსთან არის დაკავშირებული. ყველა ასეთი ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მობილობაში მონაწილის მიერ.

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge